

ფინანსური ანგარიშგება

შპს ეს ენდ დი ლოჯისტიკი

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია	7
2. შედგენის საფუძველი	7
2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე	7
2.2. მომზადების საფუძველები	7
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	7
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	8
3.1. უცხოური ვალუტა	8
3.2. ძირითადი საშუალებები	8
3.3. არამატერიალური აქტივები	9
3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9
3.5. კაპიტალი	9
3.6. იჯარა	9
3.7. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	10
3.8. ამონაგების აღიარება	10
3.9. მოგების გადასახადი	10
3.10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
3.11. სავაჭრო ვალდებულებები	11
4. ძირითადი საშუალებები	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
6. ფულადი სახსრები	12
7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	13
9. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	13
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
12. ფინანსური რისკის ფაქტორები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		-	361	521
ძირითადი საშუალებები		2,137,286	2,221,794	2,154,167
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		2,137,286	2,222,155	2,154,688
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები		10,536	26,401	22,556
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		9,221	206,731	19,919
საგადასახადო ავანსი				22,671
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		694,165	1,205,449	650,392
ფული და ფულის ექვივალენტები		87,487	203,905	256,348
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		801,409	1,642,486	971,886
მთლიანი აქტივები		2,938,695	3,864,641	3,126,574
ვალდებულებები და კაპიტალი				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		111,050	111,050	111,050
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,794,392	1,959,169	1,620,909
მთლიანი კაპიტალი		1,905,442	2,070,219	1,731,959
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		675,302	1,247,327	1,185,125
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		675,302	1,247,327	1,185,125
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი		188,788	-	-
მიღებული ავანსები		323	31,801	32,193
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		136,056	458,402	177,288
საგადასახადო ვალდებულებები		29,250	36,254	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,534	20,638	9
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		357,951	547,095	209,490
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		2,938,695	3,864,641	3,126,574

შპს „ეს ენდ დი ლოჯისტიკის“
დირექტორი

გ. ბოლქვაძე

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	წელი 2023	წელი 2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან		8,948,274	11,132,358
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,406,963)	(9,463,761)
საერთო მოგება		1,541,311	1,668,597
გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები		(12,067)	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1,355,929)	(1,156,282)
საოპერაციო ხარჯები		(1,367,996)	(1,156,282)
საოპერაციო მოგება		173,315	512,315
ფინანსური ხარჯები		(67,845)	(63,609)
მოგება/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(162,746)	7,716
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		(24,185)	(118,162)
მოგება დაბეგვრამდე		(81,461)	338,260
მოგების გადასახადის ხარჯი		(11,329)	-
საანგარიშო პერიოდის მოგება		(92,790)	338,260
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(92,790)	338,260

შპს „ეს ენდ დი ლოჯისტიკის“
დირექტორი

გ. ბოლქვაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (გადაანგარიშებული)	111,050	1,620,909	1,731,959
წლის მოგება (ზარალი)		155,236	155,236
წინა პერიოდის მოგება (ზარალის) კორექტირება		183,024	183,024
წლის მთლიანი შემოსავალი (გადაანგარიშებული)	-	1,959,169	1,959,169
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	111,050	1,959,169	2,070,219
წლის მოგება (ზარალი)		(92,790)	(92,790)
წლის მთლიანი შემოსავალი		(92,790)	(92,790)
დივიდენდები		(71,987)	(71,987)
ოპერაციები მფლობელებთან		(71,987)	(71,987)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	111,050	1,794,392	1,905,442

შპს „ეს ენდ დი ლოჯისტიკის“
დირექტორი:

გ. ბოლქვაძე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	წელი 2023	წელი 2022 (გადაანგარიშებული)
ფული და ფულადი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	203,905	256,348
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
შემოსავლები მომსახურების მიწოდებიდან	9,233,003	10,432,200
სხვა საოპერაციო შემოსავალი	42,774	-
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხები - დღგ	52,294	107,169
მთლიანი შემოსავლები	9,328,071	10,539,369
გადახდები მომწოდებლებზე	(7,139,167)	(8,501,432)
საპენსიო გადახდები	(44,729)	(34,419)
გადახდილი ხელფასები	(1,036,362)	(839,713)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(209,655)	(55,583)
მივლინების თანხები	(374,589)	(387,614)
ბანკის საკომისიო	(21,845)	(78,786)
გადახდილი პროცენტები	(67,845)	(63,609)
სხვა გადახდები	(50)	(2,460)
მთლიანი გადახდები	(8,894,242)	(9,963,616)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან - შედეგი	433,829	575,753
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(66,238)	(908,842)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(66,238)	(908,842)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხები	1,475,607	975,826
გადახდილი სესხები	(1,864,545)	(701,778)
გადახდილი დივიდენდები	(82,000)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან - შედეგი	(470,938)	274,048
სალაროს და ბანკს შორის გადატანილი თანხები		
საკურსო სხვაობა	(13,071)	6,598
ფული საანგარიშო პერიოდის ბოლოს	87,487	203,905

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ოპერაციების ბუნება და ზოგადი ინფორმაცია

შპს ეს ენდ ლოჯისტიკი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №6. კომპანია დაფუძნებულია 2013 წელს და მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს საკუთარი სატვირთო ავტომობილებით საერთაშორისო და ადგილობრივი სატვირთო გადაზიდვები.

კომპანიის პარტნიორები და მათი შესაბამისი წილები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

დამფუძნებელი	რეგისტრაციის ადგილი	2023 წლის 31 დეკემბერი
42001009400, გიორგი ბოლქვაძე	საქართველო	100%

2023 საანგარიშგებო წლისთვის საქართველოში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მესამე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2. შედგენის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753 ლარს.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
შენობა-ნაგებობები	50 წელი

3.3. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

3.4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 111,050 ლარს.

3.6. იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

3.8. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

3.9. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმომოხილი.

3.10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორული დავალიანება არ წარმოშობს პროცენტს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასაზუსტებლად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებული.

3.11. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
ღირებულება 01.01.2022	79,805	43,997	34,713	10,820	2,749,171	11,509	2,930,015
დამატებითი შესყიდვები	-	-	2,669	-	423,645	-	426,314
რეალიზაცია	-	-	-	-	(113,932)	-	(113,932)
31 დეკემბერი 2022	79,805	43,997	37,382	10,820	3,058,884	11,509	3,242,397
დამატებითი შესყიდვები	20,621	-	5,019	1,242	320,815	-	347,697
რეალიზაცია	-	-	(6,824)	(5,076)	(189,928)	-	(201,828)
31 დეკემბერი 2023	100,426	43,997	35,577	6,986	3,189,771	11,509	3,388,266
დაგროვილი ცვეთა							
დაგროვილი ცვეთა 01.01.2022	5,195	7,342	10,582	5,397	736,673	10,658	775,847
ცვეთა	1,596	4,400	3,714	1,040	276,582	851	288,183
რეალიზ. ძირ. სამ. დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	(43,427)	-	(43,427)
31 დეკემბერი 2022	6,791	11,742	14,296	6,437	969,828	11,509	1,020,603
ცვეთა	2,557	4,400	3,651	744	314,209	-	325,561
რეალიზ. ძირ. სამ. დაგროვილი ცვეთა	-	-	(2,460)	(3,773)	(88,951)	-	(95,184)
31 დეკემბერი 2023	9,348	16,142	15,487	3,408	1,195,086	11,509	1,250,980
წმინდა საბალანსო ღირებულება							
01 იანვარი 2023	73,014	32,255	23,086	4,383	2,089,056	-	2,221,794
31 დეკემბერი 2023	91,078	27,855	20,090	3,578	1,994,685	-	2,137,286

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2023 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 54 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა, 2022 წლის ბოლოსთვის დებიტორთა რაოდენობა შეადგენდა 80-ს.

6. ფულადი სახსრები

ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული სალაროში	14,097	4,462
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	13,586	44,234
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	59,804	155,209
სულ ფულადი სახსრები	87,487	203,905

უცხოური ვალუტის საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთი შედგება 22,236.93 აშშ დოლარისგან.

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	136,056	458,402
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,534	20,638
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	139,590	479,040

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია ტრანზაქციის ფასით. ყველა სავაჭრო ვალდებულება ნორმალური საკრედიტო პირობებით არის განსაზღვრული და დამატებითი პროცენტი არ ერიცხება.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

ლარი	წელი 2023	წელი 2022
შემოსავალი საერთაშორისო გადაზიდვიდან და მასთან დაკავშირებულ საბროკერო საექსპედიტორო მომსახურებიდან	8,948,274	11,110,393
სხვა შემოსავალი	-	21,965
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	8,948,274	11,132,358

9. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

ლარი	წელი 2023	წელი 2022
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	97,673	1,068
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი - ინდ. მეწარმეები	2,512,096	2,037,972
გზატარებლობის ბარათების და სხვა ხარჯები	279,650	333,118
საწვავის ხარჯი	914,639	1,420,561
მძღოლებისა და ბროკერების შრომის ანაზღაურების ხარჯი	408,857	351,806
მივლინების ხარჯი	429,349	663,466
სატვირთო ავტომობილების ცვეთის ხარჯი	314,209	276,583
სატვირთო ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯები	184,419	146,085
გადამზიდავის პასუხისმგებლობის დაზღვევა	24,326	23,665
სატერმინალ მომსახურება	2,241,745	4,209,437
სულ რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	7,406,963	9,463,761

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	წელი 2023	წელი 2022
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	925,116	735,033
ცვეთის ხარჯები	11,711	11,760
ბუღალტრული მომსახურების ხარჯები	14,500	2,500
საპენსიო ხარჯები	17,966	18,107
კომუნიკაციის ხარჯები	5,735	5,192
კომუნალური ხარჯები	14,105	11,644
დაზღვევის ხარჯები	1,417	3,735
კომპიუტერის ხარჯები	271	
ბანკის საკომისიო	22,235	79,358
საკანცელარიო ხარჯები	3,448	4,452
საგადასახადო ხარჯები	28,096	25,608
სხვა ხარჯები	311,329	258,893
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,355,929	1,156,282

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

12. ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში და არარეზიდენტ პირებთან არსებული დებიტორული დავალიანებებიდან, რომლებიც განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეზო ვალდებულება.